

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №2

2015 წლის 23 მარტი

ქ. თბილისი

„ელექტროენერჯის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ადგენს:

მუხლი 1

„ელექტროენერჯის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილებაში (ვებგვერდი, 05.08.2014, 300320000.16.009.016091) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ „ელექტროენერჯის განაწილების, გატარების და მოხმარების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის“:

ა) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის:

ა.ა) „ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ¹“ ქვეპუნქტი:

„ვ¹) აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულება – აქტივის თვითღირებულებას (ამ აქტივზე განხორციელებული ინვესტიციის გათვალისწინებით) გამოკლებული დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია;“;

ა.ბ) „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) დანახარჯების აუდიტი – რეგულირების მექანიზმები, რომელთა გამოყენებითაც კომისიის მიერ (უშუალოდ კომისიის ან/და კომისიის მიერ მოწვეული ნეიტრალური მხარის მიერ) მოწმდება საწარმოს დანახარჯები და ფინანსური შედეგები და განისაზღვრება რეგულირებადი დანახარჯების ბაზა;“;

ა.გ) „ტ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ტ) ინვესტიცია - აქტივის შექმნის, შექმნის ან/და რეაბილიტაციისათვის განხორციელებული კაპიტალური დაბანდებები;“;

ა.დ) „ყ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ყ) მესამე მხარე – ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი (მათ შორის: სახელმწიფო, მომხმარებელი და სხვა), გარდა საწარმოს წილის მფლობელისა, რომელიც საწარმოზე გასცემს სუბსიდიას, გრანტს, იხდის ელექტროენერჯის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასურს ან/და საწარმოს უსასყიდლოდ გადასცემს მატერიალურ და არამატერიალურ აქტივს;“;

ა.ე) „ც“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ც¹“ ქვეპუნქტი:



„ც¹) საბრუნავი კაპიტალი (WC) – საწარმოს საოპერაციო, აგრეთვე ელექტროენერჯის შესყიდვასთან დაკავშირებული დანახარჯების დაფინანსებისათვის კომისიის მიერ განსაზღვრული თანხის ოდენობა;“;

ა.ვ) „ხ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ხ) საოპერაციო დანახარჯები (OPEX) – ელექტროენერჯის გამანაწილებელი ქსელის ექსპლუატაციასა და მომსახურებასთან დაკავშირებული დანახარჯები, აგრეთვე ამ მეთოდოლოგიის მიზნებისთვის, რეგულირებად საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მიმდინარე დანახარჯები;“;

ა.ზ) „ჯ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჯ) სატარიფო განაცხადი – კომისიის მიერ დამტკიცებული განაცხადის ფორმები, რომლებშიც ასახულია საწარმოს სატესტო წლის ფინანსური და ტექნიკური მონაცემები, აგრეთვე ტარიფის გაანგარიშების წელს და სატარიფო წელს განსახორციელებელი ინვესტიციების გეგმა;“;

ა.თ) „კ³“ ქვეპუნქტი ამოღებული იქნეს.

ბ) მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სატარიფო რეგულირების პერიოდში კომისიის მიერ ტარიფები დგინდება ყოველწლიურად და მოქმედებს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, გარდა ამ მეთოდოლოგიის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებისა.“.

გ) მე-7 მუხლის:

გ.ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივის ღირებულება არ დგინდება ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მეთოდით, კომისია იყენებს აქტივის აღდგენითი ღირებულებით შეფასების მეთოდს.“;

გ.ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საწარმოს მიერ რეგულირებადი აქტივების სხვა საწარმოზე გაყიდვის შემთხვევაში, კომისია შესაბამისი ტარიფის გაანგარიშებისას არ გაითვალისწინებს აქტივის ხელშეორედ გაყიდვის ღირებულებას და იხელმძღვანელებს აქტივის ისტორიული ღირებულებით.“;

გ.გ) მე-11 პუნქტის:

გ.გ.ა. „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ინვესტიცია, რომელიც განხორციელდა ან განხორციელდება მესამე მხარის სრული ან ნაწილობრივი დაფინანსებით. ასეთი აქტივები საწარმოს მიერ უნდა აღირიცხოს განცალკევებულად;“;

გ.გ.ბ. „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) გადაფასების რეზერვი, გარდა სახელმწიფო ქონების პრივატიზებისას წარმოქმნილი გადაფასების რეზერვისა.“;

გ.დ) მე-11 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „11¹“ პუნქტი:

„11¹. კომისია უფლებამოსილია რეგულირებადი აქტივების ბაზაში არ გაითვალისწინოს საწარმოს წილის მფლობელის მიერ კაპიტალში შეტანილი მესამე მხარისაგან გადაცემული აქტივი, თუ საწარმოს წილის მფლობელს ან მესამე მხარეს წარმოადგენს სახელმწიფო ან საწარმო, რომლის წილის არანაკლებ 50%-ს ფლობს სახელმწიფო.“;

გ.ე) მე-14 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„14. რეგულირებადი აქტივების ბაზის ღირებულება სატარიფო წლის ბოლოს იანგარიშება შემდეგი ფორმულით:



$$RAB_{(t+1)} = TA_{(t-1)} + IA_{(t-1)} - TP_{(t-1)} - RA_{(t-1,t,t+1)} + pINV_{(t,t+1)} - pD_{(t,t+1)} - pTP_{(t,t+1)} + pDTP_{(t,t+1)} \quad (3),$$

სადაც:

$RAB_{(t+1)}$ – რეგულირებადი აქტივების ბაზის ღირებულება სატარიფო წლის ბოლოს (ლარი);

$TA_{(t-1)}$ – მატერიალური აქტივების ღირებულება სატესტო წლის ბოლოს (ლარი);

$IA_{(t-1)}$ – არამატერიალური აქტივების ღირებულება სატესტო წლის ბოლოს (ლარი);

$TP_{(t-1)}$ – მესამე მხარის დაფინანსებით შექმნილი აქტივების ღირებულება სატესტო წლის ბოლოს (ლარი);

$RA_{(t-1,t,t+1)}$ – სატესტო წელს ექსპლუატაციიდან გასული და ტარიფის გაანგარიშების და სატარიფო წლის საინვესტიციო გეგმის ფარგლებში ექსპლუატაციიდან გასასვლელი აქტივების ღირებულება და გაუფასურების ზარალის ღირებულება სატესტო წლისთვის (ლარი);

$pINV_{(t,t+1)}$ – კომისიასთან შეთანხმებული საინვესტიციო გეგმით გათვალისწინებული (დაგეგმილი) აქტივების ღირებულება ტარიფის გაანგარიშების წლისა და სატარიფო წლისთვის (ლარი);

$pD_{(t,t+1)}$ – წლიური ცვეთა/ამორტიზაცია ტარიფის გაანგარიშების წლისა და სატარიფო წლისთვის, რომელიც ერიცხება არსებულ და დაგეგმილ მატერიალურ და არამატერიალურ აქტივებს (ლარი);

$pTP_{(t,t+1)}$ – მესამე მხარის დაფინანსებით შექმნილი აქტივების ღირებულება ტარიფის გაანგარიშების წლისა და სატარიფო წლისთვის (ლარი);

$pDTP_{(t,t+1)}$ – მესამე მხარის დაფინანსებით შექმნილ აქტივებზე დარიცხული წლიური ცვეთა/ამორტიზაცია ტარიფის გაანგარიშების წლისა და სატარიფო წლისთვის (ლარი).“.

დ) მე-8 მუხლის:

დ.ა) პირველი პუნქტი ამოღებული იქნეს.

დ.ბ) მე-2–მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. 2014 წლის 1 იანვრის შემდეგ ექსპლუატაციაში შესულ აქტივებთან დაკავშირებით გამოიყენება ცვეთის წრფივი მეთოდით განსაზღვრული, კომისიის მიერ დამტკიცებული "სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული საწარმოების რეგულირებადი აქტივების ცვეთა/ამორტიზაციის ნორმები“.

3. 2014 წლის 1 იანვრამდე ექსპლუატაციაში შესულ აქტივებთან დაკავშირებით კომისია ითვალისწინებს საწარმოს მიერ გამოყენებულ ცვეთა/ამორტიზაციის ნორმებს, ხოლო ამ ინფორმაციის არ არსებობის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია გამოიყენოს საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საამორტიზაციო ანარიცხების გაანგარიშების წესი.“.

ე) მე-9 მუხლის მე-5–მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. კომისიის მიერ კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების (WACC) განსაზღვრისათვის სესხის წილი (g) მთლიან კაპიტალში გაითვალისწინება 60%-ის ოდენობით.

6. სატარიფო რეგულირების პერიოდისთვის ურისკო საპროცენტო განაკვეთი (r_{rf}), ბაზრის რისკის პრემია ($r_m - r_{rf}$), სექტორული რისკის ფაქტორი (β) და სესხის პრემია (DP) ყოველი სატარიფო რეგულირების პერიოდისთვის არის ფიქსირებული. კომისია ურისკო საპროცენტო განაკვეთს განსაზღვრავს სახელმწიფო გრძელვადიან საერთაშორისო ობლიგაციებზე ვადის გასვლამდე წლიური შემოსავლის ოდენობით, ხოლო ბაზრის რისკის პრემიას და სესხის პრემიას საექსპერტო დასკვნების ან/და შედარებითი ანალიზის



საფუძველზე.“.

ვ) მე-10 მუხლის

ვ.ა) მე-3-მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საოპერაციო დანახარჯები უზრუნველყოფს მესამე მხარის დაფინანსებით შექმნილი აქტივების მომსახურებასთან დაკავშირებული დანახარჯების (მათ შორის: მიმდინარე რემონტის, შენახვა-ექსპლუატაციისა და სხვა დანახარჯების) ანაზღაურებას.

4. საოპერაციო დანახარჯები უზრუნველყოფს საბრუნავი კაპიტალის დაფინანსებისათვის საჭირო დანახარჯის ანაზღაურებას ამ მეთოდოლოგიის მე-12¹ მუხლის შესაბამისად.“

ვ.ბ) მე-6-მე-7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს არ გააჩნია სატესტო წლის ფაქტობრივი მონაცემები ან ტარიფის გაანგარიშების წელს საწარმოს ლიცენზიაში განხორციელდა არსებითი ცვლილებები, კომისია უფლებამოსილია ტარიფის გაანგარიშებისას გაითვალისწინოს საწარმოს საპროგნოზო ტექნიკურ-ეკონომიკური მონაცემები, რომლებსაც მიიჩნევს დასაბუთებულად, გონივრულად და სამართლიანად.

7. სატარიფო წლისთვის ტარიფის გაანგარიშებისას კომისია ეყრდნობა საწარმოს სატესტო წლის (კონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯებისათვის - საბაზისო წლის) ფაქტობრივ ფინანსურ მონაცემებს და ტექნიკური სახის ინფორმაციას, რომლებიც წარმოდგენილი უნდა იყოს კომისიის მიერ დამტკიცებული ფორმებით, დამოწმებული საწარმოს ხელმძღვანელის ან უფლებამოსილი პირის მიერ.“.

ზ) მე-11 მუხლის მე-3-მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ტარიფის გაანგარიშების წლისთვის (t) ინფლაციის (CPI_t) საშუალო წლიურ მაჩვენებლად აიღება სატესტო წლის (t-1) ინფლაციის საშუალო წლიური მაჩვენებლის პროცენტული ცვლილება წინა წლის (t-2) ინფლაციის საშუალო წლიურ მაჩვენებელთან.

4. სატარიფო წლისთვის (t+1) ინფლაციის (CPI_(t+1)) საშუალო წლიურ მაჩვენებლად აიღება ტარიფის გაანგარიშების წლის (t) ინფლაციის საშუალო წლიური მაჩვენებლის პროცენტული ცვლილება სატესტო წლის (t-1) ინფლაციის საშუალო წლიურ მაჩვენებელთან.“.

თ) მე-12 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „12¹“ მუხლი:

„მუხლი 12¹. საბრუნავი კაპიტალი

1. კომისია სატარიფო წლისთვის განსაზღვრავს საწარმოს საბრუნავი კაპიტალის ოდენობას, რომელიც მოიცავს საწარმოს საოპერაციო, აგრეთვე ელექტროენერჯის შესყიდვასთან დაკავშირებული დანახარჯების და დამატებული ღირებულების გადასახადის ნაწილს და იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$WC_{(t+1)} = (ARD - APD_{opex}) / 365 \times OPEX_{(t+1)} + (ARD - APD_{vat}) / 365 \times nVAT_{(t+1)} \quad (8^1)$$

სადაც:

WC_(t+1) – საბრუნავი კაპიტალის ოდენობა სატარიფო წლისთვის (ლარი);

ARD – დებიტორული დავალიანების დაფარვის დღე, მაგრამ არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვისა (დღე);

APD_{opex} – კრედიტორული დავალიანების დაფარვის დღე საოპერაციო დანახარჯებთან მიმართებაში, მაგრამ არაუადრეს საანგარიშო თვის 10 რიცხვისა (დღე);

APD_{vat} – კრედიტორული დავალიანების დაფარვის დღე დამატებული ღირებულების გადასახადთან



მიმართებაში - საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვი (დღე);

$OPEX_{(t+1)}$ – საოპერაციო დანახარჯები სატარიფო წლისთვის (ლარი);

$nVAT_{(t+1)}$ – სხვაობა დასაბეგრ ბრუნვაზე დარიცხულ დამატებული ღირებულების გადასახადის თანხასა და ჩასათვლელ დამატებული ღირებულების გადასახადის თანხებს შორის (ლარი).

2. ელექტროენერჯის შესყიდვასთან დაკავშირებული საბრუნავი კაპიტალის ოდენობის გაანგარიშება განხორციელდება ელექტროენერჯის შესყიდვის სეზონური ღირებულების გათვალისწინებით.

3. საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზაში აისახება ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გაანგარიშებული საბრუნავი კაპიტალის (WC) ოდენობის კაპიტალის საშუალო შეწონილ ღირებულებაზე (WACC) ნამრავლით მიღებული დანახარჯი.

4. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გაანგარიშებული საბრუნავი კაპიტალის ოდენობა (WC) უარყოფითი რიცხვია, საწარმოს სატარიფო წლის საბრუნავი კაპიტალის ოდენობა ნულის ტოლია.“.

ი) მე-14 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 14. დანახარჯების გადანაწილება (ალოკაცია)

1. თუ საწარმო ეწევა ერთზე მეტ რეგულირებად საქმიანობას და, ამასთან, არარეგულირებად საქმიანობასაც, იგი ვალდებულია, სატესტო წლის შემოსავლები და დანახარჯები თითოეული რეგულირებადი და არარეგულირებადი საქმიანობის, ხოლო აქტივების ღირებულება თითოეული რეგულირებადი საქმიანობების მიხედვით კომისიაში წარმოადგინოს განცალკევებულად, კომისიის მიერ დამტკიცებული ფორმებით.

2. ამ მეთოდოლოგიის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პრინციპის გათვალისწინებით, საწარმო ვალდებულია სატესტო წლის პირდაპირი დანახარჯები მიაკუთვნოს ძაბვის შესაბამის საფეხურს, ხოლო არაპირდაპირი დანახარჯები მიაკუთვნოს ძაბვის თითოეულ საფეხურს და დაასაბუთოს მიკუთვნების მეთოდის გონივრულობა და სამართლიანობა.

3. კომისია უფლებამოსილია არ დაეთანხმოს ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების გათვალისწინებით საწარმოს მიერ გამოყენებულ ალოკაციის მეთოდს (მისი დაუსაბუთებლობისა და უსაფუძვლობის მოტივით) და გამოიყენოს დანახარჯების და აქტივების ღირებულების გადანაწილების სხვა მეთოდი.

4. ამ მეთოდოლოგიის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პრინციპის გათვალისწინებით, კომისიის მიერ დანახარჯების გადანაწილება ძაბვის საფეხურებს შორის განხორციელდება დანახარჯების კასკადირების მეთოდით (დანართი №1).“.

კ) მე-17 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 17. ელექტროენერჯის რაოდენობა და შესყიდვის საშუალო შეწონილი ფასი“.

ლ) მე-18 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 18. ტარიფების კორექტირების პრინციპები და ძირითადი მექანიზმები

1. წინამდებარე მეთოდოლოგია ტარიფის გაანგარიშებისას ითვალისწინებს დაგეგმილი მაჩვენებლების (რეგულირებადი აქტივების ღირებულება, შესყიდული და განაწილებული (გატარებული) ელექტროენერჯის რაოდენობა და ღირებულება და სხვა) ასახვას რეგულირებადი დანახარჯების ბაზაში. შესაბამისად, კომისია სატარიფო რეგულირების პერიოდის თითოეული წლისთვის ტარიფების კორექტირებას განხორციელებს დანახარჯების კორექტირების მაჩვენებლით.

2. ელექტროენერჯის მოხმარების ტარიფის კორექტირება ხორციელდება ელექტროენერჯის განაწილების ტარიფის ან/და ელექტროენერჯის შესყიდვის საშუალო შეწონილი ფასის კორექტირების შედეგად.“.

მ) მე-19 მუხლის:

მ.ა) პირველი პუნქტის:



მ.ა.ა. „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) კაპიტალური დანახარჯები;“;

მ.ა.ბ. „ე“ ქვეპუნქტი ამოღებული იქნეს.

მ.ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დანახარჯების კორექტირების მაჩვენებელი იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\text{CORR}_{(t+1)} = \text{cRRAB}_{(t+1)} + \text{cD}_{(t+1)} - \text{cRev}_{(t+1)} + \text{cCNL}_{(t+1)} \quad (13),$$

სადაც:

$\text{CORR}_{(t+1)}$ – დანახარჯების კორექტირების მაჩვენებელი სატარიფო წლისთვის (ლარი);

$\text{cRRAB}_{(t+1)}$ – სხვაობა, რომელიც გამოწვეულია რეგულირებადი აქტივების ბაზაზე ფაქტობრივ და დაგეგმილ ამონაგებს შორის სხვაობით, რომელიც აისახება სატარიფო წელს (ლარი);

$\text{cD}_{(t+1)}$ – სხვაობა, რომელიც გამოწვეულია ცვეთის ფაქტობრივ და დაგეგმილ ღირებულებებს შორის სხვაობით, რომელიც აისახება სატარიფო წელს (ლარი);

$\text{cRev}_{(t+1)}$ – სხვაობა, რომელიც გამოწვეულია ფაქტობრივად განაწილებული და დაგეგმილი გასანაწილებელი ელექტროენერჯის რაოდენობებს შორის სხვაობით, რომელიც აისახება სატარიფო წელს (ლარი);

$\text{cCNL}_{(t+1)}$ – სხვაობა, რომელიც გამოწვეულია ელექტროენერჯის ნორმატიული დანაკარგების ფაქტობრივ და დაგეგმილ ღირებულებებს შორის სხვაობით, რომელიც აისახება სატარიფო წელს (ლარი).

მ.გ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. კომისია უფლებამოსილია საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზა შეამციროს საწარმოს რეგულირებადი აქტივების ბაზაში ასახული აქტივების და რეგულირებად საქმიანობაში დასაქმებული ადამიანური რესურსების არარეგულირებად საქმიანობაში გამოყენებიდან და ექსპლუატაციიდან გასული აქტივის რეალიზაციიდან მიღებული მოგებით, საწარმოს ელექტროენერჯის გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლების მიერთებიდან მიღებულ შემოსავალსა და მიერთებაზე გაწეულ დანახარჯებს შორის დადებითი სხვაობით, აგრეთვე მესამე მხარისაგან საწარმოს მიერ საოპერაციო დანახარჯების დაფინანსების მიზნით მიღებული სახსრებით (სრულად ან ნაწილობრივ).“.

ნ) მე-20 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თუ საწარმოს მიერ ფაქტობრივად განხორციელებული ინვესტიციების ღირებულება განსხვავდება დაგეგმილი ინვესტიციების ღირებულებისაგან, ტარიფის კორექტირება ხდება ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ამ მეთოდოლოგიის მე-7 მუხლში ასახული პრინციპების გათვალისწინებით.“.

ო) 21-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თუ სატარიფო რეგულირების პერიოდის თითოეული წლისთვის საწარმოს მიერ ფაქტობრივად განაწილებული და გატარებული ელექტროენერჯია განსხვავდება დაგეგმილი რაოდენობისაგან, მაშინ საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზის კორექტირება იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\text{cREV}_{(t+1)} = [(\text{aE}_{(t-1)} - \text{pE}_{(t-1)}) \times T_{(t-1)}] \times (1 + \text{WACC}_{(t-1)}) \times (1 + \text{WACC}_t) \quad (16),$$

სადაც:

$\text{cREV}_{(t+1)}$ – შემოსავლების კორექტირებული ოდენობა (t+1) პერიოდისთვის (ლარი);



$aE_{(t-1)}$ – განაწილებული და გატარებული ელექტროენერჯის ფაქტობრივი რაოდენობა (t-1) პერიოდისთვის (კვტსთ);

$pE_{(t-1)}$ – გასანაწილებელი და გასატარებელი ელექტროენერჯის დაგეგმილი რაოდენობა (t-1) პერიოდისთვის (კვტსთ);

$T_{(t-1)}$ – ტარიფი (t-1) პერიოდისთვის (თეთრი/კვტსთ);

WACC – დროში ფულის ღირებულების განაკვეთი, რომელიც WACC-ის ტოლია (%).“.

პ) 22-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თუ სატარიფო რეგულირების პერიოდის თითოეული წლისთვის საწარმოს მიერ ფაქტობრივად განაწილებული და გატარებული ელექტროენერჯია განსხვავდება დაგეგმილი რაოდენობისაგან, კომისია უზრუნველყოფს საწარმოს ფაქტობრივად განაწილებულ და გატარებულ ელექტროენერჯიაზე დანაკარგების განსაზღვრას დადგენილი ნორმატიული მაჩვენებლით და ახდენს ელექტროენერჯის ნორმატიული დანაკარგების ღირებულების კორექტირებას შემდეგი ფორმულით:

$$cCNL_{(t+1)} = [(aE_{\text{დანაკ}(t-1)} \times aP_{\text{საშ}(t-1)} - pE_{\text{დანაკ}(t-1)} \times pP_{\text{საშ}(t-1)})] \times (1 + WACC_{(t-1)}) \times (1 + WACC_t) \quad (17),$$

სადაც:

$cCNL_{(t+1)}$ – ელექტროენერჯის ნორმატიული დანაკარგების კორექტირებული ღირებულება (t+1) პერიოდისთვის (ლარი);

$aE_{\text{დანაკ}(t-1)}$ – ელექტროენერჯის ნორმატიული დანაკარგების კორექტირებული რაოდენობა (t-1) პერიოდისთვის, რომელიც იანგარიშება ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად (კვტსთ);

$pE_{\text{დანაკ}(t-1)}$ – ელექტროენერჯის ნორმატიული დანაკარგების დაგეგმილი რაოდენობა (t-1) პერიოდისთვის (კვტსთ);

$aP_{\text{საშ}(t-1)}$ – ელექტროენერჯის შესყიდვის ფაქტობრივი საშუალო შეწონილი ფასი (t-1) პერიოდისთვის (თეთრი/კვტსთ);

$pP_{\text{საშ}(t-1)}$ – ელექტროენერჯის შესყიდვის დაგეგმილი საშუალო შეწონილი ფასი (t-1) პერიოდისთვის (თეთრი/კვტსთ);

WACC – დროში ფულის ღირებულების განაკვეთი, რომელიც WACC-ის ტოლია (%).“.

ჟ) 23-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 23. ელექტროენერჯის შესყიდვის საშუალო შეწონილი ფასის კორექტირება

1. თუ სატარიფო წელს საწარმოს მიერ შესყიდული ელექტროენერჯის ფაქტობრივი საშუალო შეწონილი ფასი განსხვავდება დაგეგმილი ფასისაგან, კომისია უფლებამოსილია განახორციელოს მომდევნო სატარიფო წლის ელექტროენერჯის მოხმარების ტარიფის კორექტირება ელექტროენერჯის შესყიდვის ფაქტობრივ და დაგეგმილ საშუალო შეწონილ ფასთა შორის სხვაობით, ამ მეთოდოლოგიაში გათვალისწინებული დროში ფულის ღირებულების პრინციპის გამოყენებით.

2. ელექტროენერჯის შესყიდვის საშუალო შეწონილი ფასის კორექტირება ეფუძნება შემდეგ ფაქტორებს:

ა) შესყიდული ელექტროენერჯის რაოდენობასა და ღირებულებას;

ბ) შესყიდული გარანტირებული სიმძლავრის, აგრეთვე ელექტროენერჯის გადაცემისა და



დისპეტჩერიზაციის მომსახურების ღირებულებას.

3. ელექტროენერჯის შესყიდვის საშუალო შეწონილი ფასის კორექტირება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ცვლილება საშუალო შეწონილი ფასის დაგეგმილსა და ფაქტობრივ მონაცემებს შორის განპირობებულია საწარმოსაგან დამოუკიდებელი მიზეზებით.

4. კომისია უფლებამოსილია ამ მეთოდოლოგიის საფუძველზე გაანგარიშებული და სატარიფო წლისთვის დადგენილი ელექტროენერჯის მოხმარების ტარიფის კორექტირება ელექტროენერჯის შესყიდვის საშუალო შეწონილი ფასით, განახორციელოს ამავე სატარიფო წლის განმავლობაში ერთხელ.“.

რ) 27-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამ მეთოდოლოგიის IV თავით გათვალისწინებული კორექტირებების გაანგარიშება ხორციელდება პირველი სატარიფო რეგულირების პერიოდის მეორე კალენდარული წლიდან (გარდა მე-19 მუხლის მე-3 პუნქტით და 23-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებებისა) ტარიფის გაანგარიშების ყოველ წელს და აისახება შესაბამისი სატარიფო წლის ტარიფში, ხოლო მე-19 მუხლის მე-3 პუნქტით და 23-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული კორექტირებების გაანგარიშება ხორციელდება მეთოდოლოგიის ძალაში შესვლიდან ტარიფის გაანგარიშების ყოველ წელს და აისახება შესაბამისი სატარიფო წლის ტარიფში.“.

2. დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ „ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის და ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის“:

ა) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის:

ა.ა) „ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე¹“ ქვეპუნქტი:

„ე¹) აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულება – აქტივის თვითღირებულებას (ამ აქტივზე განხორციელებული ინვესტიციის გათვალისწინებით) გამოკლებული დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია;“;

ა.ბ) „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) დანახარჯების აუდიტი – რეგულირების მექანიზმები, რომელთა გამოყენებითაც კომისიის მიერ (უშუალოდ კომისიის ან/და კომისიის მიერ მოწვეული ნეიტრალური მხარის მიერ) მოწმდება საწარმოს დანახარჯები და ფინანსური შედეგები და განისაზღვრება რეგულირებადი დანახარჯების ბაზა;“;

ა.გ) „კ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

ა.დ) „პ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პ) ინვესტიცია – აქტივის შექმნის, შეძენის ან/და რეაბილიტაციისათვის განხორციელებული კაპიტალური დაბანდებები;“;

ა.ე) „ტ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ტ) მესამე მხარე – ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი (მათ შორის: სახელმწიფო, მომხმარებელი და სხვა), გარდა საწარმოს წილის მფლობელისა, რომელიც საწარმოზე გასცემს სუბსიდიას, გრანტს, იხდის ელექტროენერჯის გადამცემ ქსელზე მიერთების საფასურს ან/და საწარმოს უსასყიდლოდ გადასცემს მატერიალურ და არამატერიალურ აქტივს;“;

ა.ვ) „ქ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ქ¹“ ქვეპუნქტი:

„ქ¹) საბრუნავი კაპიტალი – საწარმოს საოპერაციო დანახარჯების დაფინანსებისათვის კომისიის მიერ განსაზღვრული თანხის ოდენობა;“;

ა.ზ) „შ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შ) საოპერაციო დანახარჯები (OPEX) - წარმოების, გადაცემის და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის საქმიანობასთან დაკავშირებული საექსპლუატაციო



დანახარჯები, ასევე ამ მეთოდოლოგიის მიზნებისთვის, რეგულირებად საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მიმდინარე დანახარჯები;“;

ა.თ) „ც“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ც) სატარიფო განაცხადი – კომისიის მიერ დამტკიცებული განაცხადის ფორმები, რომლებშიც ასახულია საწარმოს სატესტო წლის ფინანსური და ტექნიკური მონაცემები, აგრეთვე ტარიფის განგარიშების წელს განხორციელებული ინვესტიციები;“;

ა.ი) „ჰ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

ბ) მე-4 მუხლის:

ბ.ა) პირველი პუნქტი ამოღებულ იქნეს.

ბ.ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კომისიის მიერ ტარიფები დგინდება ყოველწლიურად, კონკრეტული საწარმოსთვის ინდივიდუალურად და მოქმედებს ერთი წლის ვადით, გარდა ამ მეთოდოლოგიის მე-20 მუხლის 1² პუნქტით გათვალისწინებული გარემოებებისა.“.

გ) მე-7 მუხლის:

გ.ა) მე-2–მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივის ღირებულება არ დგინდება ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მეთოდით, კომისია იყენებს აქტივის აღდგენითი ღირებულებით შეფასების მეთოდს.

3. საწარმოს მიერ რეგულირებადი აქტივების სხვა საწარმოზე გაყიდვის შემთხვევაში, კომისია შესაბამისი ტარიფის განგარიშებისას არ გაითვალისწინებს აქტივის ხელმეორედ გაყიდვის ღირებულებას და იხელმძღვანელებს აქტივის ისტორიული ღირებულებით.“.

გ.ბ) მე-5 პუნქტის:

გ.ბ.ა. „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ინვესტიცია, რომელიც განხორციელდა მესამე მხარის სრული ან ნაწილობრივი დაფინანსებით. ასეთი აქტივები საწარმოს მიერ უნდა აღირიცხოს განცალკევებულად;“;

გ.ბ.ბ. „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) გადაფასების რეზერვი, გარდა სახელმწიფო ქონების პრივატიზებისას წარმოქმნილი გადაფასების რეზერვისა.“.

გ.გ) მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5¹ პუნქტი:

„5¹. კომისია უფლებამოსილია რეგულირებადი აქტივების ბაზაში არ გაითვალისწინოს საწარმოს წილის მფლობელის მიერ კაპიტალში შეტანილი მესამე მხარისაგან გადაცემული აქტივი, თუ საწარმოს წილის მფლობელს ან მესამე მხარეს წარმოადგენს სახელმწიფო ან საწარმო, რომლის წილის არანაკლებ 50%-ს ფლობს სახელმწიფო.“.

გ.დ) მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. რეგულირებადი აქტივების ბაზის ღირებულება სატარიფო წლის დასაწყისისთვის იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$RAB_{\text{start}(t+1)} = RAB_{\text{end}(t-1)} + INV_t - D_t \quad (3),$$

სადაც:



$RAB_{start(t+1)}$ - რეგულირებადი აქტივების ბაზის ღირებულება სატარიფო წლის (t+1) დასაწყისში (ლარი);

$RAB_{end(t-1)}$ - რეგულირებადი აქტივების ბაზის ღირებულება სატესტო წლის (t-1) ბოლოს (ლარი);

INV_t - ტარიფის გაანგარიშების წელს (t) ფაქტობრივად განხორციელებული ინვესტიცია, რომელსაც კომისია მიიჩნევს დასაბუთებულად და გონივრულად (ლარი);

D_t - სატესტო წლის ბოლოს არსებული რეგულირებადი აქტივების ბაზის ტარიფის გაანგარიშების წლის (t) ცვეთა/ამორტიზაცია (ლარი).“

დ) მე-8 მუხლის:

დ.ა) პირველი პუნქტი ამოღებულ იქნეს.

დ.ბ) მე-2–მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. 2014 წლის 1 იანვრის შემდეგ ექსპლუატაციაში შესულ აქტივებთან დაკავშირებით გამოიყენება ცვეთის წრფივი მეთოდით განსაზღვრული, კომისიის მიერ დამტკიცებული "სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული საწარმოების რეგულირებადი აქტივების ცვეთა/ამორტიზაციის ნორმები".

3. 2014 წლის 1 იანვრამდე ექსპლუატაციაში შესულ აქტივებთან დაკავშირებით კომისია ითვალისწინებს საწარმოს მიერ გამოყენებულ ცვეთა/ამორტიზაციის ნორმებს, ხოლო ამ ინფორმაციის არ არსებობის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია გამოიყენოს საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საამორტიზაციო ანარიცხების გაანგარიშების წესი.“

ე) მე-9 მუხლის მე-4–მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. კომისიის მიერ კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების (WACC) განსაზღვრისათვის სესხის წილი (g) მთლიან კაპიტალში გაითვალისწინება 60%-ის ოდენობით.

5. კომისია ურისკო საპროცენტო განაკვეთს განსაზღვრავს სახელმწიფო გრძელვადიან საერთაშორისო ობლიგაციებზე ვადის გასვლამდე წლიური შემოსავლის ოდენობით, ხოლო ბაზრის რისკის პრემიასა და სესხის პრემიას საექსპერტო დასკვნების ან/და შედარებითი ანალიზის საფუძველზე.“

ვ) მე-10 მუხლის:

ვ.ა) პირველი–მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სატარიფო წლისთვის საოპერაციო დანახარჯების გაანგარიშებისას გამოიყენება სატესტო წლის მონაცემები. გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოებისათვის საჭირო სათბობის (ბუნებრივი აირი, მაზუთი, ქვანახშირი) შესყიდვის დანახარჯების გაანგარიშებისას გამოიყენება ტარიფის გაანგარიშების წლის მონაცემები.

2. სატარიფო წლისთვის ტარიფის გაანგარიშებისას გაითვალისწინება ის საოპერაციო დანახარჯები, რომლებიც დასაბუთებული, გონივრული და სამართლიანია.

3. იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს არ გააჩნია ფაქტობრივი მონაცემები, კომისია უფლებამოსილია მოსთხოვოს საწარმოს სატარიფო განაცხადით განსაზღვრული ტექნიკურ–ეკონომიკური საპროგნოზო მონაცემები სატარიფო წლისთვის. კომისია უფლებამოსილია ასეთ შემთხვევაში გაითვალისწინოს მხოლოდ ის მონაცემები, რომლებსაც მიიჩნევს დასაბუთებულად, გონივრულად და სამართლიანად.“;

ვ.ბ) მე-5–მე-7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საოპერაციო დანახარჯები უზრუნველყოფს მესამე მხარის დაფინანსებით შექმნილი აქტივების მომსახურებასთან დაკავშირებული დანახარჯების (მათ შორის: მიმდინარე რემონტის, შენახვა–ექსპლუატაციისა და სხვა დანახარჯების) ანაზღაურებას.



6. საოპერაციო დანახარჯები უზრუნველყოფს საბრუნავი კაპიტალის დაფინანსებისათვის საჭირო დანახარჯის ანაზღაურებას ამ მეთოდოლოგიის მე-10¹ მუხლის შესაბამისად.

7. სატარიფო წლისთვის ტარიფის გაანგარიშებისას კომისია ეყრდნობა საწარმოს ფაქტობრივ ფინანსურ მონაცემებს და ტექნიკური სახის ინფორმაციას, რომლებიც წარმოდგენილი უნდა იყოს კომისიის მიერ დამტკიცებული ფორმებით, დამოწმებული საწარმოს ხელმძღვანელის ან უფლებამოსილი პირის მიერ.“.

ზ) მე-10 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „10¹“ მუხლი:

„მუხლი 10¹. საბრუნავი კაპიტალი

1. კომისია სატარიფო წლისთვის განსაზღვრავს საწარმოს საბრუნავი კაპიტალის ოდენობას, რომელიც მოიცავს საწარმოს საოპერაციო დანახარჯების და დამატებული ღირებულების გადასახადის ნაწილს და იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$WC_{(t+1)} = (ARD - APD_{opex}) / 365 \times OPEX_{(t+1)} + (ARD - APD_{vat}) / 365 \times nVAT_{(t+1)} \quad (6^1)$$

სადაც:

$WC_{(t+1)}$ – საბრუნავი კაპიტალის ოდენობა სატარიფო წლისთვის (ლარი);

ARD – დებიტორული დავალიანების დაფარვის დღე, მაგრამ არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვისა (დღე);

APD_{opex} – კრედიტორული დავალიანების დაფარვის დღე საოპერაციო დანახარჯებთან მიმართებაში, მაგრამ არაუადრეს საანგარიშო თვის 10 რიცხვისა (დღე);

APD_{vat} – კრედიტორული დავალიანების დაფარვის დღე დამატებული ღირებულების გადასახადთან მიმართებაში - საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვი (დღე);

$OPEX_{(t+1)}$ – საოპერაციო დანახარჯები სატარიფო წლისთვის (ლარი);

$nVAT_{(t+1)}$ – სხვაობა დასაბეგრ ბრუნვაზე დარიცხულ დამატებული ღირებულების გადასახადის თანხასა და ჩასათვლელ დამატებული ღირებულების გადასახადის თანხებს შორის (ლარი).

2. საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზაში აისახება ამ მუხლის პირველი პუნქტით გაანგარიშებული საბრუნავი კაპიტალის (WC) ოდენობის კაპიტალის საშუალო შეწონილ ღირებულებაზე (WACC) ნამრავლით მიღებული დანახარჯი.

3. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გაანგარიშებული საბრუნავი კაპიტალის ოდენობა (WC) უარყოფითი რიცხვია, საწარმოს სატარიფო წლის საბრუნავი კაპიტალის ოდენობა ნულის ტოლია.“.

თ) მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 12. დანახარჯების გადანაწილება (ალოკაცია)

1. თუ საწარმო ეწევა ერთზე მეტ რეგულირებად საქმიანობას და, ამასთან, ეწევა არარეგულირებად საქმიანობასაც, იგი ვალდებულია, სატესტო წლის შემოსავლები და დანახარჯები თითოეული რეგულირებადი და არარეგულირებადი საქმიანობის, ხოლო აქტივების ღირებულება თითოეული რეგულირებადი საქმიანობის მიხედვით კომისიაში წარმოადგინოს განცალკევებულად, კომისიის მიერ დამტკიცებული ფორმებით.

2. ამ მეთოდოლოგიის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პრინციპის გათვალისწინებით, გადაცემის ლიცენზიატი ვალდებულია სატესტო წლის პირდაპირი დანახარჯები მიაკუთვნოს ძაბვის შესაბამის საფეხურს, ხოლო არაპირდაპირი დანახარჯები ძაბვის თითოეულ საფეხურს და დაასაბუთოს მიკუთვნების მეთოდის გონივრულობა და სამართლიანობა.



3. კომისია უფლებამოსილია არ დაეთანხმოს ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების გათვალისწინებით საწარმოს მიერ გამოყენებულ ალოკაციის მეთოდს (მისი დაუსაბუთებლობისა და უსაფუძვლობის მოტივით) და გამოიყენოს დანახარჯების და აქტივების ღირებულების გადანაწილების სხვა მეთოდი.“.

ი) მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 13. ელექტროენერჯის რაოდენობა

კომისია ტარიფებს ადგენს სატარიფო წლისთვის დაგეგმილი ელექტროენერჯის რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის განსაზღვრისთვის კომისია ეყრდნობა ელექტროენერჯის რაოდენობის ფაქტობრივ მონაცემებს ან სატარიფო წლისთვის დამტკიცებული ელექტროენერჯის (სიმძლავრის) საპროგნოზო ბალანსებს.”.

კ) მე-15 მუხლის:

კ.ა) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფი იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$T_{\text{ცვლ}(t+1)} = \frac{OPEX_{\text{ცვლ}(t+1)} + cFC_{(t+1)}}{E_{\text{გაც}(t+1)}} \times 100 \quad (9),$$

სადაც:

$T_{\text{ცვლ}(t+1)}$ – გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფი (თეთრი/კვტსთ);

$OPEX_{\text{ცვლ}(t+1)}$ – გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ცვლადი საოპერაციო დანახარჯები სატარიფო წლისთვის (ლარი);

$cFC_{(t+1)}$ – გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოებისათვის საჭირო სათბობის (ბუნებრივი აირი, მაზუთი, ქვანახშირი) შესყიდვის დანახარჯის, ამ მეთოდოლოგიის მე-20 მუხლის 1¹ ან 1² პუნქტით განსაზღვრული კორექტირებული ოდენობა (ლარი);

$E_{\text{გაც}(t+1)}$ – გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მიერ სალტეზე გაცემული ელექტროენერჯის რაოდენობა სატარიფო წლისთვის (კვტსთ).

კ.ბ) მე-9–მე-10 პუნქტები ამოღებულ იქნეს.“.

ლ) მე-16 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 16. ელექტროენერჯის გადაცემის ტარიფი

1. ელექტროენერჯის გადაცემის ლიცენზიატისათვის გადაცემის საქმიანობაზე დგინდება ელექტროენერჯის გადაცემის ტარიფები.

2. ელექტროენერჯის გადაცემის ტარიფები დგინდება ელექტროენერჯის გადამცემი ქსელის ძაბვის შემდეგი საფეხურების მიხედვით:

ა) 500 კილოვოლტ ძაბვაზე;

ბ) 400 კილოვოლტ ძაბვაზე;

გ) 220-110-35-10-6 კილოვოლტ ძაბვაზე.

3. გადაცემის ტარიფი სატარიფო წლისთვის იანგარიშება შემდეგი ფორმულით:



$$T_{i\text{გადაც}(t+1)} = \frac{RCB_{i(t+1)}}{E_{i\text{გადაც}(t+1)}} \times 100 \quad (12),$$

სადაც:

$T_{i\text{გადაც}(t+1)}$ – ძაბვის i -ური საფეხურის გადაცემის ტარიფი (თეთრი/კვტსთ);

$RCB_{i(t+1)}$ – გადაცემის ლიცენზიატის რეგულირებადი დანახარჯების ბაზის ღირებულება ძაბვის i -ურ საფეხურზე სატარიფო წლისთვის ($t+1$) (ლარი);

$E_{i\text{გადაც}(t+1)}$ – ძაბვის i -ურ საფეხურზე გადამცემი ქსელის საშუალებით მიწოდების პუნქტებში გადაცემული ელექტროენერჯის მთლიანი რაოდენობა, ხოლო სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის განკუთვნილი ახალი 400 კვ ელექტროგადამცემი ხაზის ტარიფის გაანგარიშებისას ამ ხაზით ექსპორტირებული ელექტროენერჯის მთლიანი რაოდენობა (კვტსთ);

i – გადამცემი ქსელის ძაბვის შესაბამისი საფეხური.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ტარიფის გაანგარიშებისას კომისია უფლებამოსილია გაითვალისწინოს გადაცემის ლიცენზიატის მიერ საქართველოს ტერიტორიის გავლით ელექტროენერჯის ტრანზიტიდან მიღებული ან მისაღები შემოსავლები. ასეთ შემთხვევაში ტრანზიტიდან მიღებული ან მისაღები შემოსავლებით შემცირდება გადაცემის ლიცენზიატის რეგულირებადი დანახარჯების ბაზა.

მ) მე-19 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 19. ტარიფების კორექტირების პრინციპები და ძირითადი მექანიზმები

„1. წინამდებარე მეთოდოლოგია ტარიფის გაანგარიშებისას ითვალისწინებს დაგეგმილი მაჩვენებლების ასახვას რეგულირებადი დანახარჯების ბაზაში. შესაბამისად, კომისია სატარიფო წლისთვის ტარიფების კორექტირებას განახორციელებს დანახარჯების კორექტირების მაჩვენებლით, რომელიც ეფუძნება შემდეგ ფაქტორებს:

- ა) კაპიტალური დანახარჯები;
- ბ) საოპერაციო დანახარჯები;
- გ) ელექტროენერჯის რაოდენობა.

2. დანახარჯების კორექტირების მაჩვენებელი იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$CORR_{(t+1)} = cRRAB_{(t+1)} + cD_{(t+1)} + cOPEX_{(t+1)} - cREV_{(t+1)} \quad (16),$$

სადაც:

$CORR_{(t+1)}$ – დანახარჯების კორექტირების მაჩვენებელი სატარიფო წლისთვის ($t+1$) (ლარი);

$cRRAB_{(t+1)}$ – სხვაობა, რომელიც გამოწვეულია რეგულირებადი აქტივების ბაზაზე ფაქტობრივ და დაგეგმილ ამონაგებს შორის სხვაობით, რომელიც აისახება სატარიფო წელს (ლარი);

$cD_{(t+1)}$ – სხვაობა, რომელიც გამოწვეულია ცვეთის ფაქტობრივ და დაგეგმილ ღირებულებებს შორის სხვაობით, რომელიც აისახება სატარიფო წელს (ლარი);

$cOPEX_{(t+1)}$ – სხვაობა, რომელიც გამოწვეულია ფაქტობრივ და დაგეგმილ საოპერაციო დანახარჯებს შორის სხვაობით, რომელიც აისახება სატარიფო წელს (ლარი);



$cREV_{(t+1)}$ – სხვაობა, რომელიც გამოწვეულია ელექტროენერჯის ფაქტობრივ და დაგეგმილ რაოდენობებს შორის სხვაობით, რომელიც აისახება სატარიფო წელს (ლარი).

3. კომისია უფლებამოსილია საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზა შეამციროს საწარმოს რეგულირებადი აქტივების ბაზაში ასახული აქტივების და რეგულირებად საქმიანობაში დასაქმებული ადამიანური რესურსების არარეგულირებად საქმიანობაში გამოყენებიდან და ექსპლუატაციიდან გასული აქტივის რეალიზაციიდან მიღებული მოგებით, საწარმოს ელექტროენერჯის გადამცემ ქსელზე ახალი მომხმარებლების მიერთებიდან მიღებულ შემოსავალს და მიერთებაზე გაწეულ დანახარჯებს შორის დადებითი სხვაობით, აგრეთვე მესამე მხარისაგან საწარმოს მიერ საოპერაციო დანახარჯების დაფინანსების მიზნით მიღებული სახსრებით (სრულად ან ნაწილობრივ).“.

ბ) მე-19 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „19¹“ მუხლი:

„მუხლი 19¹. კაპიტალური დანახარჯების კორექტირება

1. თუ საწარმოს მიერ ტარიფის გაანგარიშების წელს ფაქტობრივად განხორციელებული ინვესტიციების ღირებულება განსხვავდება ტარიფში ასახული ინვესტიციების ღირებულებისაგან, ტარიფის კორექტირება ხდება ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ამ მეთოდოლოგიის მე-7 მუხლში ასახული პრინციპების გათვალისწინებით.

2. საწარმოს კაპიტალური დანახარჯების კორექტირება იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$cRRAB_{(t+1)} = [(aRAB_{starts(t)} - pRAB_{starts(t)}) \times WACC_t] \times (1 + WACC_t) (16^1),$$

სადაც:

$cRRAB_{(t+1)}$ – ამონაგების კორექტირებული ღირებულება (t+1) პერიოდისთვის (ლარი);

$aRAB_{starts(t)}$ – რეგულირებადი აქტივების ბაზის ფაქტობრივი ღირებულება (t) პერიოდისთვის (ლარი);

$pRAB_{starts(t)}$ – რეგულირებადი აქტივების ბაზის დაგეგმილი ღირებულება (t) პერიოდისთვის (ლარი);

WACC – დროში ფულის ღირებულების განაკვეთი, რომელიც WACC-ის ტოლია (%).

$$cD_{(t+1)} = (aD_t - pD_t) \times (1 + WACC_t) (16^2),$$

სადაც:

$cD_{(t+1)}$ – კორექტირებული წლიური ცვეთის ღირებულება (t+1) პერიოდისთვის (ლარი);

aD_t – ფაქტობრივი წლიური ცვეთის ღირებულება (t) პერიოდისთვის (ლარი);

pD_t – დაგეგმილი წლიური ცვეთის ღირებულება (t) პერიოდისთვის (ლარი);

WACC – დროში ფულის ღირებულების განაკვეთი, რომელიც WACC-ის ტოლია (%).“.

ო) მე-20 მუხლის პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹-1² პუნქტები:

„1¹. გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოებისათვის საჭირო სათბობის (ბუნებრივი აირი, მაზუთი, ქვანახშირი) შესყიდვის დაგეგმილი ფასის, უცხოური ვალუტის კურსთან მიმართებაში ლარის კურსის და სათბობის ხვედრითი ხარჯის მაჩვენებლის ცვლილების შემთხვევაში, კომისია უზრუნველყოფს გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოებისათვის საჭირო სათბობის შესყიდვის დანახარჯის კორექტირებას შემდეგი ფორმულით:



$$cFC_{(t+1)} = [(aV_t \times (aEXC_t \times aP_t - pEXC_t \times pP_t)) + (aE_t \times pP_t \times pEXC_t \times (aEFF_t - pEFF_t))] \times (1 + WACC_t) \quad (17^1),$$

სადაც:

$cFC_{(t+1)}$ - სათბობის შესყიდვის დანახარჯის კორექტირებული ოდენობა (t+1) პერიოდისთვის (ლარი);

aV_t - შესყიდული სათბობის ფაქტობრივი მოცულობა (t) პერიოდისთვის (მ³);

$aEXC_t$ - ვალუტის ფაქტობრივი გაცვლითი კურსი (t) პერიოდისთვის;

aP_t - სათბობის შესყიდვის ფაქტობრივი სახელშეკრულებო ფასი (t) პერიოდისთვის (1000 მ³ უცხოურ ვალუტაში);

$pEXC_t$ - ვალუტის დაგეგმილი გაცვლითი კურსი (t) პერიოდისთვის;

pP_t - სათბობის შესყიდვის დაგეგმილი სახელშეკრულებო ფასი (t) პერიოდისთვის (1000 მ³ უცხოურ ვალუტაში);

$aE_{(t)}$ - სალტეზე გაცემული ელექტროენერჯის ფაქტობრივი რაოდენობა (t) პერიოდისთვის (კვტსთ);

$aEFF_{(t)}$ - სათბობის ფაქტობრივი ხვედრითი ხარჯი (t) პერიოდისთვის (მ³/კვტსთ);

$pEFF_{(t)}$ - სათბობის დაგეგმილი ხვედრითი ხარჯი (t) პერიოდისთვის (მ³/კვტსთ);

WACC - დროში ფულის ღირებულების განაკვეთი, რომელიც WACC-ის ტოლია (%).“.

1². კომისია უფლებამოსილია, გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოებისათვის საჭირო სათბობის (ბუნებრივი აირი, მაზუთი, ქვანახშირი) შესყიდვის დაგეგმილი ფასის, უცხოური ვალუტის კურსთან მიმართებაში ლარის კურსის და სათბობის ხვედრითი ხარჯის მაჩვენებლის არსებითი ცვლილების შემთხვევაში, განახორციელოს სატარიფო წლისთვის დადგენილი გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის ერთხელ კორექტირება, გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოებისათვის საჭირო სათბობის შესყიდვის დანახარჯის კორექტირებით შემდეგი ფორმულის საფუძველზე:

$$cFC_t = [(aV_t \times (aEXC_t \times aP_t - pEXC_t \times pP_t)) + (aE_t \times pP_t \times pEXC_t \times (aEFF_t - pEFF_t))] \times (1 + WACC_t)^{n/12} \quad (17^2),$$

სადაც:

cFC_t - სათბობის შესყიდვის დანახარჯის კორექტირებული ოდენობა (t) პერიოდისთვის (ლარი);

aV_t - შესყიდული სათბობის ფაქტობრივი მოცულობა შესაბამისი n პერიოდისთვის (მ³);

$aEXC_t$ - ვალუტის ფაქტობრივი გაცვლითი კურსი შესაბამისი n პერიოდისთვის;

aPt - სათბობის შესყიდვის ფაქტობრივი სახელშეკრულებო ფასი შესაბამისი n პერიოდისთვის (1000 მ³ უცხოურ ვალუტაში);

$pEXC_t$ - ვალუტის დაგეგმილი გაცვლითი კურსი შესაბამისი n პერიოდისთვის;

pP_t - სათბობის შესყიდვის დაგეგმილი სახელშეკრულებო ფასი შესაბამისი n პერიოდისთვის (1000 მ³ უცხოურ ვალუტაში);



$aE_{(t)}$ - სალტეზე გაცემული ელექტროენერჯის ფაქტობრივი რაოდენობა შესაბამისი n პერიოდისთვის (კვტსთ);

$aEFF_{(t)}$ - სათბობის ფაქტობრივი ხვედრითი ხარჯი შესაბამისი n პერიოდისთვის (m^3 /კვტსთ);

$pEFF_{(t)}$ - სათბობის დაგეგმილი ხვედრითი ხარჯი შესაბამისი n პერიოდისთვის (m^3 /კვტსთ);

WACC - დროში ფულის ღირებულების განაკვეთი, რომელიც WACC-ის ტოლია (%);

n - კორექტირებას დაქვემდებარებული პერიოდი (თვე).“.

პ) 21-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თუ სატარიფო წლისთვის საწარმოს მიერ ფაქტობრივად ქსელში გაცემული, გადაცემული და დისპეტჩერირებული ელექტროენერჯია განსხვავდება დაგეგმილი რაოდენობებისაგან, მაშინ კომისია უზრუნველყოფს საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზის კორექტირებას შემდეგი ფორმულით:

$$cRev_{(t+1)} = [(aE_{(t-1)} - pE_{(t-1)}) \times T_{(t-1)}] \times (1 + WACC_{(t-1)}) \times (1 + WACC_t) \quad (19),$$

სადაც:

$cRev_{(t+1)}$ - შემოსავლების კორექტირებული ოდენობა $(t+1)$ პერიოდისთვის (ლარი);

$aE_{(t-1)}$ - ქსელში გაცემული, გადაცემული ან დისპეტჩერირებული ელექტროენერჯის ფაქტობრივი რაოდენობა $(t-1)$ პერიოდისთვის (კვტსთ);

$pE_{(t-1)}$ - ქსელში გაცემული, გადაცემული ან დისპეტჩერირებული ელექტროენერჯის დაგეგმილი რაოდენობა $(t-1)$ პერიოდისთვის (კვტსთ);

$T_{(t-1)}$ - ტარიფი $(t-1)$ პერიოდისთვის (თეთრი/კვტსთ);

WACC - დროში ფულის ღირებულების განაკვეთი, რომელიც WACC-ის ტოლია (%).“.

ჟ) 25-ე მუხლის:

ჟ.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების (WACC) ქვემოთ მოცემული კომპონენტების სიდიდეები მოქმედებს 2018 წლის 1 იანვრამდე და განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) ურისკო საპროცენტო განაკვეთი (r_{rf}) - 7.50%;

ბ) სესხის პრემია (DP) - 3.50%;

გ) ბაზრის რისკის პრემია ($r_m - r_{rf}$) - 7.25%;

დ) სექტორული რისკის კოეფიციენტი (β) - 1.00.“

ჟ.ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი:

„2¹. იმ საწარმოსთვის, რომლის მიერ სატარიფო განაცხადი წარმოდგენილია სატარიფო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს 150 დღისა, კომისია უფლებამოსილია ტარიფები დაადგინოს არასრულ სატარიფო წელზე.“;

ჟ.გ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„3. ამ მეთოდოლოგიის IV თავით გათვალისწინებული კორექტირებების გაანგარიშება ხორციელდება 2016 წლიდან (გარდა მე-19 მუხლის მე-3 პუნქტით და მე-20 მუხლის 1² პუნქტით გათვალისწინებული გარემოებებისა) ტარიფის გაანგარიშების ყოველ წელს და აისახება შესაბამისი სატარიფო წლის ტარიფში, ხოლო მე-19 მუხლის მე-3 პუნქტით და მე-20 მუხლის 1² პუნქტით გათვალისწინებული კორექტირებების გაანგარიშება ხორციელდება მეთოდოლოგიის ძალაში შესვლიდან ტარიფის განგარიშების ყოველ წელს და აისახება შესაბამისი სატარიფო წლის ტარიფში.“.

რ) „ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის და ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ „დანართი №1“ ამოღებულ იქნეს.“.

მუხლი 2

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ენერგეტიკისა და
წყალმომარაგების მარეგულირებელი
ეროვნული კომისიის თავმჯდომარე
კომისიის წევრი
კომისიის წევრი

ირინა მილორავა

გოჩა შონია
სერგო მესხი

